სსიპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბრძანება

29.09.2016 № 185

სტუ-ს 2016 წლის 02 აგვისტოს №146
ბრძანების დამატების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

I. შეიცვალოს „სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ“ სტუ-ს 2016 წლის 02 აგვისტოს №146 ბრძანება და დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-$6^1$ მუხლი:

„$6^1$. მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც არ გამოცხადდება ან არ გააფორმებს ხელშეკრულებას მე-6 მუხლში მითითებულ ვადაში, კარგავს 2016-2017 სასწავლო წლისათვის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას. გამოთავისუფლებულ ადგილზე ჩარიცხვის უფლებას მოიპოვებს რანჟირების დოკუმენტის მიხედვით მომდევნო კანდიდატი, რომელმაც ხელშეკრულება უნდა გააფორმოს 2016 წლის პირველი ოქტომბრის $10^{00}$ საათიდან $17^{00}$ საათამდე.“

II. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში და ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ს ვებგვერდზე.

III. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ვიცე-რექტორს ლ. კლიმიაშვილს.

IV. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზები:

ვიცე-რექტორი
ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის უფროსი
ი. ლომიძე

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის
უფროსი ბ. მაისურაძე